



თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

საქმე №28/6144-15

20 აპრილი, 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრების ავტორი - ღია სააქციო საზოგადოება „ა.“

წარმომადგენელი - მ. მ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის, საჩივარზე ხარვეზის დადგენის და სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინებების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო

ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინებით, განმცხადებელს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით **თ. თ.-ს** საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (ს.ფ. 151-155).

აღნიშნულ განჩინებაზე ღია სააქციო საზოგადოება „ა.-ს“ წარმომადგენელმა, **მ. მ.-მ** საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, **თ. თ.-ს** საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება მოითხოვა (ს.ფ. 159-160).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებით, ღია სააქციო საზოგადოება „ა.-ს“ მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა (ს.ფ. 208-212).

აღნიშნულ განჩინებაზე ღია სააქციო საზოგადოება „ა.-ს“ წარმომადგენელმა, **მ. მ.-მ** საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, შპს „ს. კ.-ს“ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება მოითხოვა (ს.ფ. 214-216).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, ღია სააქციო საზოგადოება „ა.-ს“ 2015 წლის 18 ნოემბრის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინებაზე და 2015 წლის 8 დეკემბრის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადმოეგზავნა (ს.ფ. 231-233).

სააპელაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივრებს, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ასეთი განცხადება გადაუდებელ შემთხვევაში, შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდე. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოფის სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი - აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის

ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამასთან, უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.

კონკრეტულ შემთხვევაში, ღია სააქციო საზოგადოება „ა.-ს“ ერთ-ერთ მოთხოვნას თ. თ.-ს საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება წარმოადგენს. პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინებაზე 2015 წლის 18 ნოემბრის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან ყადაღის დადება ფიზიკური პირის ანგარიშებზეა მოთხოვნილი. ფიზიკური პირის ანგარიშებზე ყადაღის დადება გაუმართლებელია, ვინაიდან იგი ფიზიკური პირისათვის შეუქცევად ეკონომიკურ შედეგებთან არის დაკავშირებული, მათ შორის, საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება, მით უფრო, მიზანშეუწონელია მაშინ, როდესაც საქმე ეხება სახელშეკრულებო ურთიერთობას, რა დროსაც მხარეებს არაუზრუნველყოფილი სამოქალაქო ურთიერთობები აქვთ, რითაც იმთავითვე იკისრეს არაუზრუნველყოფილი სამართალურთიერთობის რისკები. უფრო მეტიც, განსახილველ შემთხვევაში, თ. თ.-ს მიმართ უკვე გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიებები, კერძოდ, შპს „ს. ჯ.-ში“ დაყადაღებულია თ. თ.-ს 86%-იანი წილი, მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიების არასაკმარისობის თაობაზე მტკიცება კი საქმეში წარმოდგენილი არ არის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე იმსჯელოს ასევე თ. თ.-ს წილის დაყადაღებაზე შპს „ი. ს.-ში“, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე საჩივარი წარდგენილი არ ყოფილა (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება და ღია სააქციო საზოგადოება „ა.-ს“ საჩივარი (ს.ფ. 151-155; 159-160).

პალატა მიიჩნევს, რომ 2015 წლის 8 დეკემბრის საჩივრის დაკმაყოფილება 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებაზე კომპანიის სრულ პარალიზებას გამოიწვევს, ვინაიდან მითითებული ოდენობით იურიდიული პირის ანგარიშზე ყადაღის დადებამ შესაძლებელია იურიდიული პირი გადახდისუნარიობის მდგომარეობამდე მიიყვანოს. ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში, მსგავსი ტიპის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება, დაუშვებელია. თავისუფალ ნებაში კი იგულისხმება ის ფაქტი, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველი სახელშეკრულებოა და არა დელიქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარემ თავად გადაწყვიტა არაუზრუნველყოფილ სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. იურიდიული პირის, მოცემულ შემთხვევაში, მოვალის, ანგარიშებზე ყადაღის დადებით, არათუ ხელი შეეწყობა გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ შეიძლება ხელი შეუშალოს მოვალის, როგორც მეწარმე სუბიექტის, გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები. ამდენად, იურიდიული პირის პირად ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე მეწარმე სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ვეღარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მექანიზმების გამოყენებით ვეღარ შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

პალატა დამატებით განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქონების მიმართ ხორციელდება უზრუნველყოფის ღონისძიება, ასეთ ვითარებაში, ქონების ღირებულება ტოლი ან მეტი შეიძლება იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობისა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიება საბანკო ანგარიშების ყადაღას ეხება, ასეთ ვითარებაში ანგარიშების დაყადაღებამ სასარჩელო მოთხოვნის სრული მოცულობით კომპანიის პარალიზება შეიძლება გამოიწვიოს, ვინაიდან მას საბანკო ანგარიშების სრულად დაყადაღებით თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობა ერთმევა, მით უფრო, რომ მხარე თავად უთითებს, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით კომპანიას გამოთავისუფლებული თანხა ანგარიშზე არ ექნება (ს.ფ. 214-216).

რაც შეეხება შპს „ს. კ.-ს“ ორ მიწისზედა თანამგზავრულ სადგურებზე ყადაღის დადებას, პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ ამგვარი მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარმოდგენილ განცხადებაში ასახული არ ყოფილა, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, საჩივრის ეტაპზე იმსჯელოს მის საფუძვლიანობაზე, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მხარეს უფლება ერთმევა მიმართოს სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მითითებული ღონისძიება მოითხოვოს.

ამდენად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ნაწილობრივ დაუსაბუთებელი და რაც მთავარია, არათანმიმდევრულია. რიგი ღონისძიებების გამოყენება მოთხოვნილია საჩივრის ეტაპზე, მაშინ როდესაც განცხადების ფარგლებში მასზე აპელირება არ მომხდარა (მაგალითად, მოთხოვნა ორ მიწისზედა თანამგზავრულ სადგურებზე ყადაღის დადების თაობაზე), რიგ შემთხვევაში, საჩივრის ფარგლებში მოთხოვნა საერთოდ წარდგენილი აღარ არის (მაგალითად, შპს „ი. ს.-ში“ წილის დაყადაღების თაობაზე), რიგ შემთხვევაში კი, ისეა მოთხოვნილი ფიზიკური პირის ანგარიშებზე ყადაღის დადება, რომ არ დასტურდება გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არასაკმარისობა (მაგალითად, შპს „ს. ჯ.-ში“ თ. თ.-ს 86%-იანი წილის გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის პირობებში, ფიზიკური პირის ანგარიშების დაყადაღების მოთხოვნა), და ბოლოს, საჩივრის ავტორი ითხოვს რა შპს „ს. კ.-ს“ ანგარიშების გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში დაყადაღებას, ამავდროულად თავად უთითებს ამ კომპანიის ფინანსურ სიძნელეზე და ანგარიშზე აღნიშნული ოდენობით თანხის არარსებობის პერსპექტივაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის, საჩივარზე ხარვეზის დადგენის და სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ და ამავე სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ კანონიერია და დატოვებული უნდა იქნას უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ღია სააქციო საზოგადოება „ა. ს.“ 2015 წლის 18 ნოემბრის და 2015 წლის 8 დეკემბრის საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის, საჩივარზე ხარვეზის დადგენის და სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ და ამავე სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ;

3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნათია გუჯაბიძე

ნატალია ნაზდაიძე